წ. I 1915 წ. სამშაბათი 7 აპრილი

სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი [illegible]. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 50 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 50

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მიჩჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სამშობლო"

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო"**.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

ელექტრო-თეატრი **„რადიუმი.**

ორშაბათიდან, 6 აპრილიდან ახალი არაჩვეულებრივი საუცხოვო პროგრამა, სენსაცია იქნება.

ქმარი

არციბაშევის რომანიდან, დრამა 6 ნაწილათ, შესრულებულია მოსკოვის თეატრების საუკეთესო არტისტების მიერ. **„მეუღლის"** როლს შეასრულებს მსახიობი ქალი კორშის თეატრისა **მ. მ. ტორიჩევსა. „ქმრის"** როლს შეასრულებს გამოჩენილი არტისტი **ა. ო. ვარიაგინი.**

რუსული სამხედრო ქრონიკა

სკობელევის კომიტ. მე-4-ე სერია.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

ადგილების ფასები: ლოჟა—14 შ I ადგ. 3 აბ., II ადგ. 2 აბ., III ადგ. 5 შ.

ქალაქის თეატრი

ხუთშაბათს, 9 აპრილს, ქართ. დრამ. დასის მსახიობთა მიერ **ვალ. შალიკაშვილის მონაწილეობით** წარმოდგენილი იქნება ნინო ნაკაშიძის ცნობილი ორიგინალური პიესა გურულთა ცხოვრებიდან

ვინ არის დამნაშავე?

დრ. 4 მოქ.

მზადდება ახალი დეკორაციები, სიმღერები და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.**

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი,

მეაბრეშუმეებს

ომიანობის გამო სხვადასხვა ფირმის თესლის შემოტანა **ფრიად საძნელო გახდა საზღვარგარეთიდან.** თესლის შემოტანას დიდი სიფრთხილე და თადარიგი დასჭირდა. მიუხედავათ **განსაკუთრებული დროისა,** თესლის ზოგიერთმა მოვაჭრემ გამოიტანა შეუმოწმებელი თესლი და გაზეთებშიც **განცხადების სახით** ქება-ხოტბა შეასხეს. დღევანდელ პირობებში გლეხ მეაბრეშუმეს **შეუმოწმებელი თესლის** შეძენა დაღუპვას უქადის.

მეაბრეშუმე-მწარმოებლები, რომ **არ მოტყუვდნენ** და საღი თესლის მაგიერ ცუდი თესლი არ შეიძინონ ჩვენ **„ეკონომიდის"** ფირმის თესლი შევამოწმებინეთ სათანადო მთავრობის წარმომადგენელს **სწავლულ მეაბრეშუმე აგრონომებს.**

მოგიწოდებთ—ნუ დაენდობით დღევანდელ ომიანობის გამო შექმნილ განსაკუთრებულ პირობებში **შეუმოწმებლათ შემოტანილ თესლს.** მოგვმართეთ ჩვენ—მიიღებთ ხელმისაწდომ ფასებში **თფილისის სააბრეშუმო სადგურის მიერ შემოწმებულ საღ აბრეშუმის ჭიის თესლს.**

პატივისცემით ს/ს ძმ. კუზნაროვები და ტ. ბასილაძე, ა. კილასონია.

ქუთაისი, მიხეილის ქუჩა. 6—1

განცხადება.

ვისაც სურს შეიძინოს **კარგი ღირსებისა და ბევრი აბრეშუმის თესლი** უნდა მიმართოს **ლოზ ბურასს** მთელს სპარსეთში, კავკასიასა და თურქესტანში ცნობილ ფირმას. თესლი შემოწმებულია მიკროსკოპიული საშუალებით **„პასტერის"** სისტემით და წონით 6 მისხ. თითოეული კოლოფი.

ვიმედოვნებ, რომ ბ.ბ. მყიდველები დარჩებიან სრული კმაყოფილი, თუ უკეთუ შეიძენენ ამ ფირმის თესლს.

ფასები ზომიერია.

იყიდება ნარდათ და ნაწილათაც. მისამართი: მიხეილის ქუჩა

ძმ. ადამიძის მაღაზიაში, ქუთაისში.

პატივისცემით **ნიკოლოზ ბურასი.**

10—2—149.

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ **ნ. ს. ჯორჯიკიას** შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теоріи права"

Проф. Л. I. Петражицкаго. ფასი 6 შაური თ.

კბილის მენაღარიშვილი და ტრუფა-ექიმები. ნოვა. დროებით ბათომიდან გადმოვიდნენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

ექიმი **ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი **გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

სტუდენტი

ვარლამ თვერაძე (9 წლის პრაქტიკით)

ვამზადებ და ვუსწორებ გაკვეთილებს ყველა კლასების მოწაფეებს **ყველა საგანში.** (სპეც.: რუსული, ლათინური, მათემატიკა და ფიზიკა). შედგა ჯგუფები სხვადასხვა კლასისათვის, აფთიაქის მოწაფეების, ჩინზე, სიმწიფ. მოწმობ. და სხვა.

მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა, ციხის იქით, იკითხეთ ლეჟავას მაღაზიაში დევიძის სახლი. 14—13

სტუდენტი, **უმაღლესი დასაწყისი სასწავლებლის მასწავლებელი**—ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლების ყველა კლასისათვის. აგრეთვე უმაღლეს დასაწყისი და ორკლასიან სასწავლებლის მასწავლებლად, „ჩინზე" და აფთიაქის მოწაფეთ. შეიძლება მოწაფესთან სახლში სიარული. მისამართი: **ძველი თფილისის ქუჩა ჟორჟოლაძის სახლი.** 14—7

ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 5 აპრილი. ტაუროგენის გზით ჩვენსადა მტრის მოწინავე ჯარებს შორის მცირე შეტაკება იყო, მასთან რამდენიმე დავატყვევეთ. 28 მარტს, ნემანის რაიონის იქით მარიამპოლს მტერი ეკვეთა, შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ, გერმანელებს 4 ტყვიისმტყორცნელი წავართვით და რამდენიმე ჟეული დავატყვევეთ. ამ დღის საღამოს მტერს მაშველი ჯარი მოუვიდა და შემოგვიტია. მტრის რამდენიმე კონტრ-იერიში მოვიგერიეთ და ვაიძულეთ თავის პოზიციებს დაჰბრუნებოდა. მარიამპოლის მიდამოებში უმნიშვნელო სროლა იყო. სტრეკოვიზნას რაიონში ჩვენი ჯარი მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას ხვდება. ჭაობიანი ადგილი, ჯარის ალლუმის მოხდენას და სამხედრო ბარგის ზიდვას შეუძლებლათ ხდის. მდ. ნემანის მარცხენა ნაპირის დანარჩენ ფრონტზე ამ დღეებში დიდი ბრძოლა არ ყოფილა, გარდა უმნიშვნელო სროლისა. ოსოვცის ფრონტზე სიმაგრის ზოგ რაიონებს მტერი დროგამოშვებით რვა დიუმიან დიდი ყალიბის ზარბაზნიდან ყუმბარებს ესროდა. ჩვენი სიმაგრის არტილერია მამაცურათ უპასუხებდა მტრის ცეცხლს, რამაც აიძულა სროლა შეეწყვიტა. გერმანელების მიერ ერთ-ერთ არხში ჩაშვებული სანაღმო ტივი ჩვენი ბოგირის გასანადგურებლათ ჩვენი ყუმბარებით ავაფეთქეთ. ოსოვეცის პლაცდარმის წინ, 31 მარტს, ჩვენმა საპიორებმა ღამით მტრის ბეტონის სარდაფი ააფეთქეს, რომელიც მტრისთვის მთავარ საფარ ადგილს წარმოადგენდა საპიორო მუშაობის დროს. პისასა და შკოვოს შუა, 29 მარტს, დილის რიჟრაჟზე გერმანელები შეეცადნენ ჩვენს ერთ რაიონზე იერიშის მოტანას, მაგრამ ჩვენი ტყვიისმტყორცნელების ცეცხლით იძულებული გახდა თავის სანგარებს დაჰბრუნებოდა. მდ. ვისლას მარჯვენა ნაპირის სხვა ფრონტზე გერმანელები ჩვენს ზოგ რაიონებს დიდი ძალის ნაღმებს გვესროდენ, მაგრამ ვნება არავისათვის მიუყენებიათ.

პეტროგრადი. 5 აპრილი. ვისლის რაიონში უკანასკნელი დღეების განმავლობაში შესანიშნავი ბრძოლა არ ყოფილა. გალიციაში მდ. დუნაეცის რაიონში, 1 აპრილს, ჩვენმა როტებმა დაზვერის შემდეგ ხიშტებიანი იერიშით მავთულებით გამაგრებული მტრის სანგრების მთელი რიგი დაიჭირეს. ამ იერიშის დროს, 3 ოფიცერი და 58 ჯარისკაცი დავატყვევეთ. 2—3 აპრილამდი ამ რაიონში ცვლილება არ მომხდარა. მეზოლაბორის გზით, ამ დღეებში, ტელეპოჩთან და ზუელთან მდებარე სიმაღლეების დასაჭერათ თავგანწირული ბრძოლა იყო. 2 აპრილს, ჩვენი მოწინავე ჯარი მტერზე ძალიან ახლო მივიდა და ხელჩართული მედგარი ბრძოლის შემდეგ მტრის პოზიციები და სიმაღლეები დაიჭირა. მთელ ამ დღის განმავლობაში ჩვენ მიერ დაჭერილ სანგარებზე ავსტრიელებს განუწყვეტლივ მოჰქონდათ იერიში. 24 ოფიცერი და 1000 მეტი ჯარისკაცი დავატყვევეთ და სამი ტყვიის მტყორცნელი ვიხელთეთ. საღამოს მტერმა იერიში გააძლიერა, ბრძოლა ხიშტებით ხდებოდა, მიუხედავათ ავსტრიელების სიმამაცისა, ბრძოლა მაინც ჩვენს სასარგებლოთ დაგვირგვინდა. 3 აპრილს, გათენებისას ზოგმა ჩვენმა მტერმა წინ წაიწია. ამ დღეს მტერს ერთი-ერთმანეთზე მოჰქონდა იერიში. მიზნათ ტელეპოჩის აღება ჰქონდა.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 5 აპრილი. დილის ოფიციალური ცნობა. ნოტრდამდელორეტთან შაბათს წინა ღამეს, მტრის სამი კონტრ-იერიში მოვიგერიეთ. ჩვენი ჯარი დაჭერილ პოზიციაზე გამაგრდა. მდ. ენის ველზე პალისთან ჩვენმა მძიმე არტილერიამ მტრის მღვიმეებს ყუმბარები დაუშინა, რომელიც გერმანიის ჯარისათვის საფარ ადგილს წარმოადგენდა. ზედიზედ მოყოლებული აფეთქება უნდა ამტკიცებდეს, რომ ზოგი მღვიმე დაინგრა. მდ. პერტას ჩრდილო-დასავლ. შამპანში მტერმა ჩვენს თხრილებთან ორი ნაღმი ააფეთქა და დათხრილი ადგილები დაიჭირა, რომლიდანაც ისევ მალე გავსდევნეთ. მენილის ახლოს ჩრდილოეთით ჩვენ სულ ადვილათ მოვიგერიეთ გერმანელების იერიში, რომელიც ჩვენი რაიონის წინა ნაწილის წინააღმდეგ იყო მომართული.

ვევრში, მარმორის ტყის რაიონში, ბრძოლა არტილერიის ცეცხლით სწარმოებს. მდ. ფეხტის ორივე ნაპირით ვოგეზებში წინ წავიწიეთ. იის მარცხენა ნაპირზე სილაკერვაზენის მთის დასავლეთის ქიმი დავიჭირეთ. მეტცერალის დასავლეთით ხრამზე გამოვედით. რომელიც მდ. ფეხტთან ჩადის. სამხრეთით, ბრწყინვალე ბრძოლის შემდეგ შპეფენდრიტის მწვერვალი დავიჭირეთ, რომელსაც 135 მეტრის სიმაღლე აქვს.

ეს მწვერვალი ორ ველს შუაზე ყოფს, რომელიც მეტცერალთან გამოდის. ბელგიაში ინგლისის ჰაეროპლანმა გერმანიის ჰაეროპლანი დააზიანა. აპარატი ჩვენს რაიონში ჩამოვარდა. ოფიცერი პილოტი მოკლულია. ერთი მეთვალყურე ოფიცერი დავატყვევეთ. ერთმა ჩვენმა დირიჟაბლმა ფრეიბურგში ვაგზალი ბრეზგაუს და ჰაერში მფრინავების ბანაკს ყუმბარები დაუშინა.

პარიზი. 5 აპრილი. დღის ოფიციალური ცნობა. ორბეის ჩრდილო დასავლეთით ელზასში მტრის ერთმა ბატალიონმა ჩვენს პოზიციებზე იერიში მოიტანა. ჩვენ ყუმბარები დავუშინეთ და უკუვაქციეთ. ჩვენი თხრილების წინ მტერმა მრავალი მოკლული დასტოვა, 40-ღი დავატყვევეთ. რულერთან ბელგიის ჰაეროპლანმა გერმანიის ჰაეროპლანი ჩამოაგდო. იმავე რაიონში საფრანგეთის ჰაეროპლანები მფრინავთა ბანაკს ყუმბარებს მხნეთ უშენდენ.

ოსმალეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 5 აპრილი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვის პირის გზით სამ აპრილს, სროლა გრძელდებოდა. სხვა ადგილებში მდგომარეობა უცვლელია.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ჩესტოხოვიდან ცნობაა—გერმანელებმა ქალაქ 150 ათასი მანეთის კონტრიბუცია დაადვესო.

— —

საფრანგეთის გამოჩენილი სამხედრო მიმომხილველი, გენერალი შერფისი სწერს: ომი ამ ზაფხულს უნდა დასრულდესო. მისი აზრით, გადამწყვეტი ბრძოლა მაასა და მოზელს შუა-მოხდება, სადაც მოკავშირენი შესძლებენ გერმანელები ფრონტის გარღვევას 50 კილომეტრის მანძილზე და გერმანელების ბანაკში 10 კილომეტ. წინ წაიწევენ. ეს გარღვევა ხელს შეუწყობს საერთო იერიშს, რის შემდეგაც გერმანელები იძულებული გახდებიან რეინს იქით უკან დაიხიონ. უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა კი მოხდება რეინის მარჯვენა ნაპირზე.

— —

მოკავშირეთა ჰაეროპლანების საწინააღმდეგოთ გერმანელები ახალ იარაღს ხმარობენ. ესვრიან რაკეტებს, რომელიც მაღლა სივრცეში სკდება და ფანტავს გარშემო გამნათებელ ტყვიებს.

„დეილ ტელეგრაფ"-ის ცნობით, ოლანდიის სამხედრო მთავრობას ფლისინგენში გერმანელების გემ „მენ"-ზე აღმოუჩენია უმავთულო ტელეგრაფის სადგური. მთავრობა ამის შესახებ არას ამბობს.

საგენერალო საბჭოს სხდომაზე ვივიანმა სთქვა: როგორც ინგლისს, რუსეთს, ბელგიასა და სერბიას, ისე საფრანგეთსაც არ სურდა ომი, მაგრამ ახლა იგი იბრძოლებს, ვიდრე ომი არ დასრულდება. ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ გამარჯვებაში. ჩვენ გვსურს უნდა ევროპის განთავისუფლება; ბელგიამ მიიღოს თავისუფლება და ჩვენ-კი დაკარგული პროვინციები. ჩვენ გვინდა შევმუსროთ პრუსიის მილიტარიზმი.

ავსტრიის ჰაეროპლანები ხელახლათ დაფრინავენ ჩერნოგორიის ქალაქების თავზე და ესვრიან ყუმბარებს ანტივარსა და პოდგორნიცას. ყუმბარებისაგან მოკლულია 13 და ბევრი შენობაა განადგურებული.

ალყა შემორტყმული გერმანია.

როგორც ვიცით, ეს რამდენიმე თვეა, რაც გერმანია ალყა შემორტყმულ ციხის მდგომარეობაშია ჩავარდნილი: მთელი სახელმწიფო ალყაშემორტყმულ გარნიზონის ბედს განიცდის! და მერე ეს სახელმწიფო მომწყვდეულია ევროპის შუაგულში: არც ვრცელი ახალშენი და არც პურით მდიდარი მეზობელი სახელმწიფო მისთვის არ არსებობს! ამასთან იმ გარემოებასაც თუ წარმოვიდგენთ, რომ გერმანია სამრეწველო ქვეყანაა და სამეურნეო საქონელი უმეტესათ უცხოეთიდან შემოაქვს, მაშინ მისი ახლანდელი გასაჭირი ნათლათ დაგვეხატება თვალწინ. ტყვილა კი არ ემუქრებოდენ: შიმშილით სულს ამოგაძრობთო!

მართლაც, ალყის შემორტყმის დღიდან არ გასულა ორი თუ სამი თვე, რომ გერმანიამ სურსათის ნაკლებლობა იგრძნო, პური შემოაკლდა და ხალხმა კარტოფილით საზრდოობა დაიწყო; კიდევ ცოტა დრო გავიდა და აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოში საკმაო სპილენძი არ იშოვება, რომ საომარი მასალა დამზადდეს და მით მტერს პასუხი გასცენ. ამნაირათ, ალყა შემორტყმულ გერმანიას აღარ ეშოვება არც პური არც ტყვია-წამალი, რომ ირგვლივ შემოსეულ მტრებს გაუმაგრდეს და იარაღი არ დაჰყაროს.

ასეთ ყოფაშია გერმანია მაშინ, როდესაც, როგორც ვიცით, პირველმა მან აიღო ხელში მახვილი და პირველმა მან შესძახა მტრებს: ჩამომეცალეთ გზიდან, თორემ ჩაგნთქავო!

ახლა კი რას ვხედავთ? თვითონ მას უპირებენ ჩანთქას! მაგრამ გერმანია მართლა ჩვენებური ბაქია „ნაცარქექია" გმირი იქნებოდა, რომ ტყვილა დაეკვეხნა: „აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ და იქით გორასა ძვრას ვუზამო". მართალია ვილჰელმი 25 წელიწადია რაც ხმალზე ხელს იდებდა და მართლაც ბაქიაობდა, მაგრამ ის მარტო როდი იყო: მას გვერდშიც ცნობილი კრუპიც ედგა, რომელიც 42 სანტიმეტრიან ზარბაზნებს ამზადებდა; მართალია გერმანიის აგრარიები, პრუსიის ბატონობასთან ერთათ მთელი გერმანიის ბატონობის შენარჩუნებასაც ლამობენ და თავიანთ „ლორებზე" მეტს ზრუნავდენ, ვიდრე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებაზე, მარა მათთან ერთათ გერმანიაში მრეწველთა კლასიც ძლიერია, რომელსაც სამრეწველო ტეხნიკა უმაღლეს ხარისხამდე აღუყვანია და რომელიც მსოფლიო ბაზარზე ინგლისურ ნაწარმოებსაც კი აფოლებს.

სადაც მრეწველობა ასეთ წერტილზეა დაყენებული, იქ შესაფერი მეცნიერებაც უმაღლესათ განვითარებულია; ამიტომ გერმანიას მარტო ხმლისა და ზარბაზნის იმედი კი არ ჰქონდა, როცა იმუქრებოდა და მილიტარისტულ პოლიტიკას წარმოდა; არა, ხმალზე და ზარბაზანზე უფრო მეტი იმედი მას საზოგადოთ თავისი განვითარებული ტეხნიკისა და მეცნიერების იმედი ჰქონდა.

არც მოტყუებულა: დღეს, როცა ზემოაწერილ ყოფაში ჩავარდა, ხმლისა და ზარბაზნის გარდა, მან საშველათ ტეხნიკასა და მეცნიერებას მიჰმართა.

- ის ახლა, ძველი საბერძნეთის გმირ მეცნიერს, არხიმედს მოგვაგონებს, რომელიც მტრების შემოსევის დროს იჯდა დინჯათ თავის სამუშაო ოთახში და ახალ მანქანის გეგმას ადგენდა ან მიმოდიოდა ღამით ჩაფიქრებული ქალაქის მოედანზე და იქ ქვიშაზე გეომეტრიულ ფიგურებს ხატავდა, რომ თავისი სამშობლო ქალაქის, სირაკუზის დასახსნელათ, რომელსაც ალყა ჰქონდა შემორტყმული, მტრის გამანადგურებელი იარაღ-მანქანები მოეგონებია.

ძველსა ბერძნებთან შედარებით გერმანიას ის დიდი უპირატესობაც აქვს, რომ ის ახლა ჯერ ერთი ყოველგვარ მეცნიერულ სწავლა-ცოდნით ძალიან შორს არის წასული, მეორე, მისი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია საშუალებას აძლევს პრაქტიკული ცოდნა და ტეხნიკა საზოგადოების საკეთილდღეოთ სავსებით გამოიყენოს ამაში მას ძალიან უწყობს ხელს ახალ საზოგადოებაში დაბადებული და განვითარებული ახალი მეცნიერება, რომელსაც სოციალური ეწოდება ღ რომელსაც საბერძნეთი არ იცნობდა.

ამ რიგათ, შეიარაღებული გერმანია თავგანწირულათ იბრძვის და იარაღის დაყრას სულაც არ ეპირება. პურის ნაკლებობის წინაამდეგ მან „პურის და კარტოფილის მონოპოლია" შემოიღო: რაც სახელმწიფოში პური მოიძებნებოდა, ყველა შეისყიდა და მერე მცხოვრებთა შორის „მის ხლობით" გაანაწილა. „დიდკაცებს" და თვით სასახლესაც წესათ დაუდვა მხოლოდ „სამხედრო პური" იხმარონ და ისიც განსაზღრული ზომით. რა თქმა უნდა სახელმწიფომ თავის ბატონ-პატრონის, აგრარიების ინტერესებიც არ დაივიწყა და მათი ღორებისთვის „ჩალის ფქვილიო" გამოყენება გადაწყვიტა: აქაც „მეცნიერება" მოიშველია.

თავისი განვითარებული ტეხნიკის მეოხებით სპილენძის ნაკლებობაც არ დაიმჩნია: ის გამალებით შეუდგა ელექტრონის გამოყვანილი მავთულების უსპილენძოთ მზადებას და იზოლიატირების ურეზინოთ გაყვანას. თბილი ტანისამოსი და საზამთრო საბნები ძველი გაზეთის ქაღალდისაგან გააკეთა; ბამბა ჩვეულებრივ ქაღალდისგან შექმნა, სპირტი შაქრიდან გამოხადა; სასაქმებელი ზეთიდან სანთელი და მაშინის ზეთი გამოიყვანა; ყამირი მიწები და ხელოვნურათ დამშრალი ჭაობები დაამუშავა და ზედ პური და კარტოფილი დათესა, რომ მომავალი წლისთვის ხალხს სარჩო საკმაო დაურჩეს; და სხვა მრავალი ახალი გამოგონება შემოიღო.

მაგრამ გერმანიას, როგორც უმთავრესათ მრეწველ ქვეყანას, დღეს ყველაზე უფრო მომავალი „პურის მოსავალი" აფიქრებს. ძველ პურს როგორც იქნება მომავალ მოსავლამდის მომჭირნეობით იმყოფინებს, მაგრამ თუ მომავალ ზაფხულის გასულს ახალი უხვი მოსავალი ვერ მოიშველია და ამ დროს ომიც გაგრძელდა, მაშინ მისი ალსასრულის საათიც დაჰკრავს, და იძულებული გახდება, იარაღი დაჰყაროს!

ამიტომ გერმანიის მთავრობა დღეს დიდ ყურადღებას აქცევს მომავალი წლის მოსავლის მდგომარეობას და ყოველ ღონეს ხმარობს მის სიუხვეს ხელი შეუწყოს.

ცნობილია, რომ დღეს გერმანიის მეურნეობა ისე ვერ ხეირობს, თუ მეურნემ ხელოვნური სასუქი არ იხმარა. ხელოვნური სასუქი კი აზოტიური ნივთიერებიდან შესდგება. ამნაირათ უაზოტოთ გერმანიაში მეურნეობა შეუძლებელია და აზოტი და აზოტიური ნივთიერებანი სახელმწიფოსთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. და ეს მით უფრო, რომ აზოტის თოფის წამლის და საზოგადოთ ამაფეთქებელ ნივთიერებათა დასამზადებლათაც აუცილებელია.

სად შოულობდა გერმანია დღემდე ამ მეტათ საჭირო საქონელს, აზოტს? ის თვითონ გერმანიაში ხომ ძალიან ცოტა იშოვებოდა და ისიც, როგორც კოკსისა და გაზის მომზადების ნაყოფი—პროდუქტი. ეს საქონელი გერმანიას ომამდე უმთავრესათ ჩილის (ამერიკაში) ქვეყნიდან მოჰქონდა. ამ მხრიდან გერმანია ყოველ წლივ 50 მილიონ ფუთს მარტო გვარჯილას ეზიდებოდა, რაც 100 მილიონ მანეთის საღირალს შეადგენს. გვარჯილა აზოტიური ნივთიერებათა შედგენილობას წარმოადგენს და ამიტომ იგი ხელოვნური სასუქის მთავარი ნაწილია. გვარჯილას გარდა სხვა აზოტიური ნივთიერებაც შემოჰქონდათ გერმანიაში უცხოეთიდან.

ომმა ერთიანათ მოუსპო გერმანიას ეს აუცილებელი საჭირო საგანი, ურომლისოთ მას არც „პურის მოყვანა" შეუძლია და არც „თოფის წამლის" დამზადება. რა უნდა ქნას ახლა? რაღა ეშველება?

თუ რაშიმე საჭირო იყო მეცნიერების დახმარება—შველა, ყველაზე უფრო აქ უნდა გამოეყენებიათ მისი ძალა და ხერხი და გამოიყენეს კიდეც!

10 მარტის, სხდომაზე რეიხსტაგს გერმანიის მთავრობამ დასამტკიცებლათ წარმოუდგინა ახალი კანონპროექტი, რომლის ძალით ამიერიდან გერმანიაში სამუდამოთ შემოღებულ უნდა იქნას „აზოტის სახელმწიფო მონოპოლია". ეს იმას ნიშნავს, რომ დღეიდან აზოტის წარმოება და ვაჭრობა მხოლოდ სახალმწიფოს ხელში იქნება და არა კერძო კაპიტალისტების განკარგულებაში.

ამ გზას მთავრობა იმ იმედით დაადგა, რომ იგი მეცნიერების საშუალებით შესძლებს საკმაო აზოტის დამზადებას თავის სახელმწიფოშივე და უცხოეთიდან მოტანა მას ამიერიდან აღარ დაჭირდება. აი როგორ გვიმარტავს ამ აზრს თვითონ მთავრობის წარმომადგენელი რეიხსტახის ტრიბუნიდან:

„გერმანიის მეცნიერთა გამოკვლევების წყალობით—გვაცნობებს ის, პრაქტიკულად შესაძლებელი [illegible] აზოტიურ ნივთიერებათა შედგენილობის მოპოვება დაუშრეტელი წყაროდან—ჰაერიდან". ქვევით მთავრობა აცხადებს, რომ მან ცდა უკვე გააკეთა და საიმპერიო კასიდან და რამდენიმეთ პრუსიის თანხადან გამოტანილი ფულით უზარმაზარი ქარხნები ააგო, რომ იქ აზოტი პირდაპირ ჰაერიდან მიიღონ. მთავარი ქარხნები ამ მიზნისთვის ბერლინის ახლო ბიტტერფელდში არის აშენებული; რადგან ჰაერიდან აზოტის მისაღებათ დიდძალი ელექტრონული ენერგიაა საჭირო და აქედან ამ წარმოებაში ელექტრონი დიდ როლს ასრულებს, ამიტომ ამისთვის საჭიროა ქარხნების აგებაში და მოწყობაში რამდენიმეთ მონაწილეობა მიიღოს ბერლინის საელექტრონო წარმოებათა ფირმების კავშირმა (სიმენსი, შუკერტი და სხვები).

ამ რიგათ, ეს ახალი ინდუსტრია—აზოტის ჰაერიდან მზადება—იმედს აძლევს გერმანიას, რომ იგი ამ გზით იმდენ აზოტს იშოვის, რომ მიწის გასასუქებლათაც ეყოფა და ამაფეთქებელ მასალათაც. ამასთან მთავრობა იმის იმედსაც აცხადებს, რომ იგი მიუხედავათ მუშა ხელის სიძვირისა, დღევანდელ პირობებშიაც შესძლებს აზოტი უფრო იაფათ დაისვას, ვიდრე ეს გერმანიას წინათ უჯდებოდა, როცა იგი საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ.

ამ სახით, როგორც მთავრობა ირწმუნება, გერმანია ამ მხრით არა თუ თავისუფლდება სრულიათ უცხოეთის დამოკიდებულებისაგან, „არამედ ის ამ საქონელს აზოტს აიაფებს კიდეც. მაშასადამე გერმანიის მოქალაქეთა ხელში ყოველწლივ რჩება მთელი ის კაპიტალი—200—300 მილიონამდე მანეთი—, რაც წინათ აზოთიურ შედგენილობის ნივთიერებათა შესაძენათ უცხოეთში გაქონდათ.

ასე იყენებს გერმანია თანამედროვე განვითარებულ ტეხნიკასა და მეცნიერებას და ამით ცდილობს იგი „ფონს გავიდეს".

დ—ელი.

სხვათა შორის.

კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ, ჩვენებურმა დასელებმა კვლავ დაგვიწყეს ჩხიკინი და იმედიცა გვაქვს, აღარც მოგვასვენებენ, ვინაიდან ჩვენი დასელები ღმერთსა თუ განგებას იმიტომ გაუჩენია, რომ ყველაფერი უკუღმა ესმოდესთ და ყოველივე წალმართობას წინაალუდგენ.

გიორგი მესამე.

დრამატიული ეტიუდი 4 მოქმედებათ. უგან. თ-დ. გიორგი მიხეილის ძის შარვაშიძისა.

შემდეგი იხილე „სამშობლო" 48-ე №

რუსუდან. რა ამბავია, ყუბარსან, რა მოხდა?

ჯავახ. არაფერი, დედოფალო, თქვენი საყურადღებო.

რუსუდ. მაშ, მეფე რაზე განრისხდა ისე, რომ მისი ხმა მოისმოდა?

ჯავახ. არ ვიცი... რა მოგახსენოთ!

რუსუდ. როგორ თუ არ იცი, ხომ სულ მეფეს ახლდი?

ქიშიკი. (შემოდის და რუსუდანს) დედოფალო, ბანოვანნი უცდიან ბრძანებას!

რუსუდან. (წაიწევს გასასვლელად.) მაშ, არ იტყვი, ყუბარსან, მე მიმალავ?

ჯავახ. დედოფალო! მე როგორ...

რუსუდ. (არ აცდის) კარგი! ნუ სწუხდები... შენ როგორღაც ერთგულებაშიაც გებნევა კვალი (გადის).

(თამარს, რომელიც ცოტა უკან რჩება, ჯავახი ანიშნებს მოითმინოს).

ჯავახ. (თამარს) დედოფალო განმირისხდი, მაგრამ ვით გავბედო ისეთი ამბის მოხსენება, რომელზედაც ხელმწიფე ბრძანა დუმილი?

თამარი. (დაფიქრებულია) ჰოო! თუ ესრეთი არს მეფის ბრძანება (წასვლას აპირებს).

ჯავახი. (ვითომ თავისთვის) ღმერთო, რა საცოდავობა მოხდება!..

თამარი. (შეჩერდება გაოცებული) რაო, რა სთქვი? საცოდაობა?

ჯავახ. თქვენ ბრძანდებით მემკვიდრე სამეფოისა და ზეცით მოგნიჭებიათ მცნება და გონიერება; ამისთვის თქვენ მოგახსენებთ რაც ამბავია, მაგრამ თუ კი ვინმემ გაიგო, რომ მე გამიმხელია, დავიღუპები!..

თამარი. ენდევ ჩემს ქალობას, რომ ჩვენ ორთაშუა დარჩება.

ჯავახ. ხელმწიფეს მოუვიდა ამბავი, რომ იოანე ორბელიანი აჯანყებას აპირებს, რათა თავისი გაზრდილი, უფლისწული, დემნა, დასვას ტახტზე, ამისთვის მეფემ ლაშქარი გაგზავნა დასაჭერად ორგულთა და დაიჭერენ რა, თავები უნდა დაჰკვეთონ.

თამარი. ჩემს ბიძაშვილს?

ჯავახ. სუყველას, ვინც მოთავენი არიან: უფლისწულსა, ორბელიანსა და ათაბეგსა ჯაყელსაც!..

თამარი. კაცმოყვარეო, მეფეო, რა მესმის ესა!

გაოცებითა და შიშითა ვერ ვიღებ სულსა...

მეფისა ზრუნვა, ვით დაბადებს ისეთს მიზეზსა,

რომ მან სიკვდილი მიუსაჯოს თავის ძმისწულსა!!

ჯავახ. რომ იცოდენ ახლა საცოდავებმა, ცოტა ხანს სადმე თავს შეაფარებდენ და შემდეგ ბატონსაც გული მოულბებოდა! ღალატიაო, მოახსენეს, მაგრამ ვინ ნახა ეგ ღალატი? ეგებ მტრობით იყოს მოგონილი?!

თამარი. მართლა, განა არ გამოჩნდება ისეთი ვინმე, რომ აცნობოს მათ და თავს უშველონ ბედკრულებმა?

ჯავახ. ბატონო ჩემო!..

თამარი. მამასა ჩემსა სურს, რომ ტახტი მე დამიმკვიდროს, მაგრამ სჯობია ზეზეულად მან დამიტიროს.

ჯავახ. მწყალობელო ჩემო! ნუ იქნებით ეგრე შეწუხებული; თქვენს დიდებულს წმინდა შუბლს ნუ დაჩრდილავთ, ჯერ ზრუნვითა; მიბრძანეთ, რაც გნებავთ... მიბრძანეთ შეუძლებელი... აღვასრულებ, და მით დაგიმტკიცებთ, რომ ყუბარსან ჯავახისთანა ერთგული თქვენ არავინ გახლავთ!..

თამარ. მართლა, ყუბარსან?

ჯავახი. (მძიმეთ თავს დაუკრავს) მიბრძანეთ!

თამარი. მაშ გაგზავნე კაცი, სანამ დრო არის.

ჯავახი. არა, ჩემო ხელმწიფეო! ეგ არ ივარგებს: რადგან ენდევით ჯავახსა, მას მართებს ერთგულად, გემსახუროსთ: უნდა გავგზავნოთ ვინმე თქვენის ბძანებით, თორემ მაგგვარს საქმეს მე არავინ გამიგონებს.

თამარი. მე მზათა ვარ, მაგრამ მითხარი, ვინ გავგზავნოთ, ვის ვენდოთ?

ჯავახ. მე მგონია სასახლის ყმაწვილებს ყველას სჯობია თქვენის ერთგულებითა და სიმარჯვით შალვა ჯაყელი! მხოლოდ საჭიროა თქვენგან რამ ნიშანი ვაჩვენო, რომ დამერწმუნოს ესეთს მძიმე მინდობილებაზე.

თამარი. ნიშანი... აბა რა ნიშანი? ბეჭედი... რიდე... სამხრე?

ჯავახი. სამხრე მიბოძეთ: რიდე უფრო ძნელი დასამალავია.

თამარი. (აძლევს სამხრეს) მაშ, ყუბარსან, მექნება შენი იმედი!

ჯავახი სრული დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დედოფალო. (თამარი თავს უკრავს და გადის. ჯავახი მარტო, ეშმაკურად ჩაიცინებს) კარგადა მაქვს საქმე ჯერჯერობით დაწყობილი. (დახედავს სამხრეს) გავგზავნოთ ჯაყელი, თუ არა! რომ მართლა როგორმე გაძვრეს და ისინი გააქციოს?!. მაგრამ ვერა გზები, შეკრულია... ვერ მიაღწევს.

(შემოდიან სოსლანი, შოთა მესხი და ზაქარია მხარგძელი. მესხი ათავებს ადრე დაწყებულ ლექსს.

მესხი. „მიკვირს კაცი რად იფერებს
საყვარლისა სიყვარულსა!
ვინცა უყვარს რად აყივნებს
მისთვის კვდარსა, მისთვის წყლულსა,
თუ არ უყვარს, რათ არა ! ძულს,
რად აყივნებს რაცა სძულსა?
ავსა კაცსა ავი სიტყვა,
ურჩევნია სულსა გულსა.

ჯავახი. (სოსლანს) ბატონიშვილს სალამი! (სამხრეს მალავს) შოთა კიდევ ლექსს ამბობს? დიდი საქმეა სწორედ მოგახსენებთ ამდენი შაირების წერა!..

მესხი. სახელმწიფო საქმეებს ჩვენ არ განვაგებთ და მხოლოდ ლექსებსა ვსწერთ.

ჯავახი. რა უშავს: ერთი მეორესოდენი საზრუნავია.

სოსლან. ეხ, ყმაწვილებო! დღეს ყუბარსან კბენის გუნებაზეა, თავი დავანებოთ!..

მხარგრძელი. არ მიკბინოს თორემ კბილებს ჩაიმტვრევს (სიცილი).

ჯავახი. (წყენით) ეგ რა ოხუნჯობაა, ყმაწვილებო?

მხარგრ. ოხუნჯობა კი არა და—მართალია. დღეს მივდივარ ლაშქრად და ჯავშანი მაცვია, თუ მიკბინეთ, კბილები გეტეკინებათ (სიცილი).

მესხი. ჯავშანი საკბენათ გემრიელი არ უნდა იყოს.

სოსლანი. (ჯავახს) ყუბარსან რას მალავ ზურგს უკან?

ჯავახი. არაფერს, უბრალო რამეა.

მესხი. ხაჭაპური თუა, ან ყანდი.

მხარგძელი. (ჩუმად მესხს). ნუ ხუმრობ შენ! კიდეც შეჰფერის, ჯერ ბავშია!

ჯავახი. (ყურს მოკრავს და წყენით). მართლაც ბავშები ხართ, რა გიპასუხოთ?!

ყმაწვილები. (იცინიან).

სოსლან. არა, ყუბარსან, თუ ღმერთი გწამს, რა გაქვს ხელში, გვაჩვენე. (მიდის ახლოს და მკლავზე ხელს ჰკიდებს).

ჯავახი. აკი მოგახსენეთ, არაფერია! (სოსლანი ძალას ატანს). მოითმინეთ, ბატონიშვილო! ძალადობა როგორ გეკადრებათ? მაშ კარგი: გაჩვენებთ მარტოკა თქვენ!

სოსლანი. (ამხანაგებს) ყმაწვილებო, გაიწიეთ იქით (მიდგებიან გვერდზე).

ჯავახი. ერთის პირობით, არავისთან არ გაამჟღავნოთ!

სოსლანი. დამერწმუნეთ.

ჯავახი. სწორედ?

სოსლანი. ჩემმა მზემ! ჯვარის მადლმა!.. (ჯავახი აჩვენებს სამხრეს, სოსლანი გაოცებული დგას. ეს რა არის?

ჯავახი. ვერ იცანით?

სოსლანი. დედოფლისა? (ჯავახი თავს დახრის თანხმობის ნიშნად) თამარისა?

ჯავახი. დიახ!

სოსლან. მერე შენთან რა უნდა?

ჯავახი. თვითონ მიბოძა. მაგრამ ისეთ მდგომარეობაში ვარ, არ ვიცი რა წყალში ჩავვარდე!.. ბატონიშვილო!.. ერთი რამ მირჩიეთ, ვითარცა თქვენს ერთგულს: ეგ სამხრე მიბოძა და მიბრძანა საიდუმლოდ გადავცე შალვა ჯაყელს, და არ ვიცი, როგორ მოვიქცე!.. უარი მეთქვა? აბა, როგორ გამებედნა! მეც როგორღაც დავიბენი!

სოსლანი. რა მნიშვნელობა უნდა ქონდეს ასეთ ძღვენს თამარისაგან ჯაყელისადმი?

ჯავახი. რა მოგახსენო: მაგაზე კი არა უბრძანებია რა! მაგრამ..

სოსლანი. (ამაყად) მე მგონია, რადგანაც მიიღე ეგ მონდობილობა, კიდეც უნდა აღასრულო. ჩემზე კი იყავ დარწმუნებული, არამც თუ ვისმეს უამბო, ვეცდები სრულიადაც დავივიწყო ეგ შემთხვევა, მხოლოდ ვწუხვარ, რომ ლალობით გაიძულე ამის გამჟღავნება. (თავს უკრავს გულგრილად; ამხანაგებს.) აბა, წავიდეთ ყმაწვილებო!.. უნდა ერთი რამ გითხრათ.

ორივე. ბრძანე, ბრძანე!

სოსლანი. განგების ძალა რომ მქონდეს, მსაჯულად არ ავარჩევდი ბედსა! როგორ იტყვით? (ნელნელა მიდიან).

მესხი. ბედია ეშმას თამაში, მისგან ნუ
ითხოვთ ბრძნობასა,
საპყარსა ხშირად ულონოს სვე ჰკადრებს
მორჭმულობასა!
ბედი არ ბედობს, თუ ოდეს ის იწყებს
სამართლობასა!
იგი ვამსგავსე დიაცის გულისა კამათ-
ლობასა!..

მხარგრძელი. / **სოსლანი.** ვაშა, ვაშა, შოთა!

ხახა! (გადიან; ჯავახი დაცინვით თვალს გააყოლებს).

ფარდა.

უგ. თ. გ. შარვაშიძე.

ჩვენის გაზეთის ერთ-ერთ ნუმერში ჩვენ, — შეძლებისადაგვარად, — დავახასია თეთ ქართველი საზოგადოება და აღვნიშნეთ ის სამწუხარო მოვლენა, რომ სოფელი და მშრომელი ხალხი ან უპატრონოთ არის მიტოვებული და ან დამღუპველ ზეგავლენას განიცდიან.

ასეთი თვალსაჩინო მოვლენა დასელებისათვის შეუმჩნეველი ყოფილა და თავის სიბრმავეს ჩვენ გვისაყვედურებენ.

როცა ჩვენ იმ წერილსა ვწერდით, კარგათ ვიცოდით, რომ დასელები არ მოგვიწონებდენ და თავისებურ განგაშს ასტეხდენ, მაგრამ მგლის შიშით, ცხვარი ვის გაუწყვეტია?

ამიტომ ჩვენც არ დავფარეთ (და არც შემდეგში დავფარავთ) ის სიდუხჭირე, რომელსაც განვიცდით ყველანი „განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, ჰასაკისა და მდგომარეობისა“ — როგორც დასელები იტყვიან ხოლმე.

ამ სიდუხჭირის დამყარებაში დასელებს რომ სხვაზე არა ნაკლები დანაშაული მიუძღვის, ამას, რასაკვირველია, დასელების გარდა ყველა ნათლადა ხედავს და გრძნობს და ჩვენი საზოგადოების სწორედ ამ ნაწილის საყურადღებოთ იყო დაწერილი ჩვენი წერილი და ღრმათაცა გვწამს, რომ ყველა გულწრფელი და პატიოსანი ქართველი კარგად ხედავს ჩვენ საერთო ნაკლს და ცდილობს კიდეც გაასწოროს იგი ნაკლი.

შეუცდარი ქვეყნათ არავინ არის და მართლაც მარტო ჩვენებური დასელი უნდა იყოს ის, ვისაც თავი შეუმცდარი პაპი ჰგონია, მაგრამ გასწორებული შეცდომა ერთი ორათ საქებურია, ვინაიდან შეგნება და გასწორება თავის სიგლახისა, თავმდებია იმისი, რომ მეორეთ დამღუპველი შეცდომა აღარ მოუვა.

ასე ფიქრობს ყოველი ჭკუათა მყოფელი ადამიანი. მაშასადამე, აქ სადავო და საკამათო არა არის-რა, მაგრამ ჩვენებური დასელები რის დასელები იქნებიან, თუ ლობე-ყორეს არ მოედვნენ და ალიაქოთი არ ასტეხეს.

უმაგალითო მსოფლიო ომმა და დასელთა ზოგიერთ „უცილობელ მეცნიერულ, და პროლეტარულ“ დებულებათა ყირამალა გადატრიალებამ, ცოტა არ იყოს ჩააფიქრა ისინი და ჩვენ გვეგონა, რომ თვითვე მიხვდებოდენ თავის შეცდომას, მაგრამ, როგორცა სჩანს, მათ თვალები არა ჰქონიათ სახედავათ და ყურები სასმენათ და ისევ ძველებურათ ყაყანობენ.

ნათქვამია: ურია რომ გაღარიბდება, ძველ თამასუქებს მოსძებნისო.

ჩვენი დასელებიც ასე იქცევიან.

იმის მაგივრათ, რომ გადაათვალიერონ თავისი ნამოქმედარი, ცოდვა აღარ ასვენებთ და გუნია-ხეობელს კიდევ წამოჰკრეს ხელი. მით უფრო ცუდი მათთვის!..

ძველი ამბები რომ გავიხსენოთ, ვინ იცის, ვისკენ იქნება სიმართლე, მაგრამ უბედურება სწორეთ ის არის, ერთი მხარე რომ ყოყოჩობს, მეორე მხარე იძულებულია უკან ჩამოდგეს. რათა? იმიტომ, რომ სწორეთ „შინაური ჩვენი ცხოვრება ან თვალთ-მაქცობაა, ან ტანჯვა და ვაება“, მაგრამ არა მარტო თვალთმაქცობა და ძალმომრეობა „გაბატონებულ ჯგუფებისა“, როგორც ბრძანებენ დასელები, არამედ თვით დასელებისაც. ამას ჩვენ თამამად ვამბობთ, იმიტომ, რომ საბუთიცა გვაქვს. უბედურება მხოლოდ ის არის, რომ ერთი კაცის — თუნდა სამართლიანი ხმა — იკარგება ხოლმე უმრავლესობის ღრიალსა და კიჟინში.

დასელებს ერთი ფრიად დიდი უპირატესობა აქვს ჩვენში. უპირატესობა — არა ვმალავ — ფრიად მოსაწონი და მისაბაძი.

ეს უპირატესობა გახლავთ ის, რომ მათ ჩინებულათ აქვთ მოწყობილი ორგანიზაცია, სასტიკი დისციპლინა სუფევს მათ მიმდევართა შორის.

საკმარისია, მეთაურმა სთქვას — თუნდა სისულელეც — და ხელი აიქნიოს, რომ ყველამ გაიმეოროს ეს სისულელე და უაღრეს ჭეშმარიტებათ აღიაროს.

არადასელებს შორისაც ასეთი დისციპლინა რომ არსებობდეს, ასეც ველარ იპარპაშებდენ დასელები, მარტო იმიტომ, რომ დასელები არიან, მაგრამ ვაი სწორეთ ის არის, რომ „გაბატონებული ჯგუფები“ თავისს ძალთა დაქსაქსვის გამო „მონები“ ხდებიან და ენას მუცელში იგდებენ.

აი, ამაშია ტრაგიზმი და, თუ გნებავთ თვალთმაქცობაც ჩვენის საზოგადოებრივ ურთიერთობისა და ამისი აღნიშვნა არაფერი საკვირველი არ არის. პირიქით, ასეთი ყოფა შესმენილ ქართველთა სატირალი და სავალალოა და ჩვენ ჩვენს მოვალეობათ დავისახეთ გვეხილებინა ქართველი საზოგადოება და შეერთებისაკენ მოგვეწოდებინა.

ჩვენ ამაში ვხედავთ ხსნას საქართველოისას, ქართული საქმეებისას და, თუ ასეთი შეერთება ასეთი ერთობა სამარე იქნება ზოგიერთების მოძღვრებისა და მოქმედებისა, თუ ასეთი შეერთება და ერთობა ძირს გამოუთხრის ზოგიერთების ლათაიებს, ეს მით უკეთესი მთელის საქართველოსათვის!..

შეიძლება, ასეთი მოლოდინი აშინებს ჩვენ დასელებს და ერთხელ კიდევ ამიტომ აფუფუნდენ.

შეიძლება ერთობა, ერთობა ქართველებისა ეროვნულ ნიადაგზე, სახრჩობელა იყოს ზოგიერთებისათვის და დასელებიც ამიტომ იკბინებიან ასე მწარედ, შემოდგომის ბუზებივით.

გზა მშვიდობისაც ჰქონიათ!

ახალი ამბავი.

მგოსანი აკაკის დამკრძალავი ქუთაისის კომიტეტი აკაკის საღამოს ქუთაისში მართავს, 9 აპრილს. საღამოსთვის განსაკუთრებული სამზადისია.

◆ მოუსავლობით დაზარალებულთა დამხმარე ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტმა სენაკისა და ზუგდიდის მაზრებიდან მიიღო ხსენებულ მაზრებში დამშეულ ოჯახების სიები. საგუბერნიო კომიტეტმა ეს სიები ბ. გუბერნატორს გაუგზავნა.

◆ ომში გაწვეულთა ოჯახების დამხმარე ქალაქის კომიტეტს დღემდის შემოწირულება მიუღია 4,321 მან. და 13 კ. აქედან ომში გაწვეულთა ოჯახებს დაურიგდა მხოლოთ 415 მანეთი და 95 კ. დანარჩენი 3,905 მანეთი და 18 კაპ. დაურიგდება მხოლოთ ომში დაღუპულთა ოჯახებს.

◆ ქ. შ. წ. კ. გამ. საზ. ქუთაისის განყოფილების გამგეობამ დაადგინა ახლო მომავალში მოაწყოს ქალაქის ბაღში სეირნობა, თავის ქონების გასაძლიერებლათ.

◆ ქალაქის საბჭომ ბ. გუბერნატორს უკვე წარუდგინა დადგენილება გადამდები სენის სავათმყოფოს მოწყობის შესახებ.

◆ კვირას, 5 აპრილს, ქალაქის თეატრში მსახიობი ქალი ნ. ჩხეიძის მონაწილეობით წარმოადგინეს „ქალის სამშობლო“, ხალხი დიდძალი დაესწრო.

◆ ქალთა საზოგადოების სახელოსნო სასწავლებელში სულ 40 მოწაფეა.

◆ ქალაქის გამგეობამ უკვე გამოაკრა ახალგაზრდათა სიები, რომელიც გაწვეული იქნებიან მომავალ მაისში. ქუთაისიდან სულ გასაწვევია 339 ახალგაზდა.

◆ ქალაქის საბჭოს საბიბლიოთეკო კომისიის თავჯდომარემ ბ. ი. ი. ოცხელმა ქალაქის საბჭოში პროექტი შეიტანა, რომ სამკითხველოს რეორგანიზაცია მოახდინონ. უნდა შეადგინონ კატალოგები ყველა წიგნებისა, რომლის საშუალებითაც შეიძლება სამკითხველოს ღირებულების გაგება. იმ თანხის გარდა, რომელიც გადადებულია კიდევ, უნდა გადაიდვას 500 მანეთი წიგნების გამოსაწერათ და გამგეს 360 მანეთის მაგივრათ მიეცეს 600 მანეთი. სამკითხველოს მოწყობა უნდა მიენდოს მასწავლებელ ვ. ბერიძეს, რომელსაც ამის თანხმობა განუცხადებია.

◆ **თვითმართველობაში.** ქალაქის სამასწავლებლო კომისიის წევრთა კრებაზე, რომელსაც დაესწრენ: ბ-ნნი გ. ს. ბარათაშვილი, ტ. მ. ჯაფარიძე, ს. ვ. ჯორჯიკია, ი. ი. ოცხელი, ლ. ვ. ხმალაძე და გ. მ. ცაგარეიშვილი დაადგინეს: ეთხოვოს ქალაქის გამგეობას, შუამდგომლობა აღძრას ქალაქის საბჭოს წინაშე, ქალაქის პირველ-დაწყებითი სკოლებში მეოთხე განყოფილების გახსნის შესახებ; როცა ეს შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება და სახალხო სკოლების დირექციის ნებართვაც ხელთ ექნებათ, — იმ წამსვე შეუდგენ ამ საქმის სისრულეში მოყვანას.

აგრეთვე კრებამ განიხილა თხოვნა მესამე სამოქალაქო სკოლის მასწავლებელქალის ქ-ნ ალისა ქუთათელაძისა, რომელიც ითხოვდა მცირეოდენ დახმარებას; კრებამ დაადგინა, მიეცეს ქ-ნ ქუთათელაძეს ასი მანეთი.

◆ სანიტარული წესების დარღვევა. ბაზრის ზედამხედველმა და მისმა თანაშემწეებმა სანიტარული წესების დარღვევის გამო, ოქმები შეუდგინეს შემდეგ პირთ: გაბო მარდატაძე ციციაშვილს, მიხეილ ელიას ძე რიჟინაშვილს, ელო, დანიელ, ისხაკ და გაბრიელ მიხეილის ძე ციციაშვილებს, ივანე დავ. ბაქრაძეს, სიმონ ის. რიჟინაშვილს, ანსტი კირ. პავლიდის, დებორა შაშუაშვილს, ბინო შალომის ძე შამიაშვილს და ელიაზ ფილხაზის ძე რიჟინაშვილს.

◆ ქუთაისში დღემდის იყო ქართული დრუჟინის სატრანსპორტო 5 რაზმი. ახლა მეექვსე რაზმსაც ადგენენ.

◆ კვირას, 5 აპრილს, ფერმის გასწვრივ მდ. რიონში დაიხრჩო ვილაცის 5 წლის ბავში.

მარტში მომხდარი სხვადასხვა ბოროტმოქმედება.

27 მარტს გლეხ გიორგი იორდანის ძეს დიაკონიძეს მძიმეთ დაუჭრია პავლე დომინის ძე დიაკონიძე; რადგა ეს უკანასკნელი თავის მამულში მუშაობდა, მივარდნია მას მკვლელი და სამ ადგილას დაურტყამს ცული. დამნაშავე შეიპყრეს.

ძარცვა.

სამ თებერვალს, ღამით სეპერატის მახლობლათ (რიონის მხარე) ვანო ჰანჩულიძეს ერთ უცნობის თანხლებით, გაუძარცვავს კონსტანტინე რიჟამაძე: წაუღიათ 10 მან. და 6 კ. ჰანჩულიძე შეიპყრეს.

9 მარტს, სოფ. ღიმში გლეხ კარპეზ გიორგაძემ ორ უცნობის თანხლებით შეიჭრა გლეხების აგრაფინე და თარხან გიორგაძეების სახლში და, წაართვეს ფულათ 250 მან., 3 თამასუქი 390 მანეთისა და 27 მანეთის სხვადასხვა ნივთი. გიორგაძე დააპატიმრეს.

ქურდობა.

8 მარტს, სოფ. კულაში დანიელ ახობაძემ, ნესტორ ტორონჯაძემ, ალექსანდრე გეგია და მიხეილ სტურიამ, გასტეხეს და გაქურდეს კულაშის მატხოვრის ეკლესია; წაიღეს საეკლესიო სხვადასხვა ნივთები ღირებული 101 მ. და 41 კ. ბოროტ-გამზრახველი შეიპყრეს.

თეატრი.

ნინო ნაკაშიძის პიესა „ვინ არის დამნაშავე?“

ხუთშაბათს, 9 აპრილს, ქართ. დრამ. დასის მსახიობთა მიერ, ვალ. შალიკაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ნინო ნაკაშიძის ცნობილი ორიგინალური პიესა გურულთა ცხოვრებიდან „ვინ არის დამნაშავე?“ ეს პიესა გასულ წელს ქუთაისის სცენაზე იქნა დადგმული და დიდი აზრთა შეჯახება გამოიწვია მაყურებელთა შორის.

წელს, რადგან ამ პიესის გამეორებით ლიტერატურული გასამართლებაც უნდა მოხდეს, ამიტომ სასურველია ამ პიესის წარმოდგენას რაც შეიძლება მეტი ხალხი დაესწროს. ამ პიესისთვის მზადდება ახალი დეკორაციები, სიმღერები და სხ. ფასები ჩვეულებრივია.

მოგონება.

(ვარლამ გელოვანის გადაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო).

ვისაც ქართველი ერის კანონიერი წინსვლა და სიცოცხლე ეინტერესება, ვინც უმწიკვლოდ ინახავს თავის გულში მშობელი ხალხის სიყვარულს, ვინც ჯერ კიდევ გადაგვარების ჯურღმულში არ გადაჩეხილა, — ის უეჭველია, არა ერთსა და ორს სამწუხარო მოვლენას შეამჩნევდა ჩვენ ცხოვრებაში და არა ერთხელ და ორხელ განიცდიდა მწვავე გრძნობებს ამ სამწუხარო მოვლენების არა სასურველ შედეგების გათვალისწინებით...

სამწუხარო მოვლენების რიცხვი დღეს ჩვენი ერის ცხოვრებაში, საუბედუროდ, საგრძნობლად დიდია.

ერთ ერთ თვალსაჩინო სამწუხარო მოვლენად ჩვენ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია ქართული ენის არა ნორმალური მდგომარეობა ჩვენ საშუალო სასწავლებლებში.

ამ არა სასურველ მდგომარეობას ქართული ენისას ვერ შეურიგდება ვერც ერთი ქართველი, თუ ეს უკანასკნელი, რასაკვირველია, გადაგვარების გზას არ ადგია.

თავისი ტანჯული ერის მოსიყვარულე ქართველს უთუოდ დაებადება კითხვები: რად არ აქვს ქართულ ენას საპატიო ადგილი დათმობილი იმ სასწავლებელში, სადაც დიდი უმრავლესობა მოწაფეებისა ქართველებია? რატომ არ უნდა იყოს სამშობლო ენა სავალდებულო საგნად ქართველი მოწაფისათვის? რა დანაშაულობა მიუძღვის ამ ენას, რომ მას საშუალო სასწავლებლის საგნებთა შორის უკანასკნელი ადგილი აქვს დათმობილი? რად არის ასე აბუჩად აგდებული ეს ენა სასწავლებელის ბატონ-პატრონებისა, ქართველი მშობლის და მოსწავლე ახალგაზდობისაგან? როდემდის გასტანს ამ ენის ყველასაგან ასე აბუჩად აგდება?

აი ეს კითხვები დაებადება, ეჭვი არაა, იმ ქართველს, რომელიც დაინტერესებულია ჩვენი ხალხის აწმყოთი და მომავლით.

ქართული ენის არა ნორმალურ მდგომარეობიდან წარმოშობილი, ზემოდ ჩემგან მოყვანილი, კითხვები მთელი თავისი სიგრძე-სიგანით გადაიშალენ ჩემ თვალწინ მაშინ, როცა საშუალო სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლის როლი ვიკისრე.

დიდი ხნიდან დაგუბებულმა მწვავე გრძნობებმა გადმოხეთქეს და პირველად ეს გრძნობები გაუზიარე, ჩემდა სასიამოვნოდ, უდროვოდ დაკარგულ ძვირფას თანამემამულეს-ვარლამ ლევანის ძე გელოვანს. ეს უკანასკნელი ფ—ში ჩამოვიდა, შემთხვევით ვისარგებლე. შევედით მასთან სასტუმროში მე და მ—ნ კ—ძე.

გრძნობიერ მამულიშვილს აუწერეთ ქართული ენის არა ნორმალური მდგომარეობა ჩვენ საშუალო სასწავლებლებში, გავაცნეთ თუ რა შედეგებით თავდება ამ ენის ასე აბუჩად აგდება და ვსთხოვეთ-ეხვეწნეთ ქართული ენის ნორმალურ მდგომარეობის მოპოვებაზე „ზევიდან“, რადგან ადგილობრივ ამ ენის მდგომარეობის გაუმჯობესობაზე საშუალო სასწავლებელში არავინ ზრუნავს.

დეპუტატი სმენად გადაიქცა. დიდრონი თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდა და გაუბრწყინდა. კეთილ სახეზე ქმუნვისა და ამავე დროს სიამოვნების ბეჭედი აღებეჭდა. ადგა, მოგვიახლოვდა და დინჯად, ტკბილი საამური ხმით, გაგვიზიარა თავისი აზრი.

— არა ერთი და ორი სამწუხარო მოვლენა დაბუდებულა დღეს ბ—ბო, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, სთქვა ვარლამმა. ერთ-ერთი სამწუხარო და ჩვენი თავმოყვარეობის დამამცირებელ მოვლენად მიმაჩნია სწორედ ის, რაზედაც თქვენ მიმითითეთ — ქართული ენის უნუგეშო მდგომარეობა საშუალო სასწავლებელში.

— კითხვა, თუ რად არ უნდა იყოს ქართული ენა მოწაფისათვის საშუალო სასწავლებელში, ყოველთვის მაფიქრებდა და მაწუხებდა.

— მე ნასიამოვნები ვარ თქვენი თხოვნით, თქვენი აზრით. სიამოვნებით ვღებულობ თქვენ წინადადებას: მთელის ჩემის არსებით ვიმეცადინებ, ამ ჩემი დეპუტატობის დროს, რომ ამ ენას მოუპოვო სავალდებულო საგნის ადგილი. მხოლოდ დაუმატა: — ჩემთვის საჭიროც იქნება და ფრიად საჭირო მასალა, რითაც უნდა ვიხელმძღვანელო მოქმედების დროს. მომიწყეთ ხელი, ბ—ბო, მომაწოდეთ ეს მასალა: საჭიროა გამოქვეყნდეს პრესის საშუალებით ქართული ენის უნუგეშო მდგომარეობა საშუალო სასწავლებელში; საჭიროა გამოსთქვან თავიანთი აზრი და შეხედულება ამ ენის გულშემატკივრებმა, საჭიროა საზოგადოებამ იცოდეს ის, თუ რას თხოულობს და, ეჭვს გარეშეა, ქართველი ხალხის წარმომადგენელის კანონიერი და დასაბუთებული მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნება.

მე მზათ ვარ, ბ—ბო, ვემსახურო წმინდა საქმეს... მომიწყეთ ხელი და მიზანს მივაღწევთ; შეუძლებელი აქ არა არის რა...

დეპუტატის ამგვარმა შეხვედრამ ალმაფრთოვანა... იმედი გამიორკეცა. აღარ დავაყოვნე და ქართული ენის არა ნორმალურ მდგომარეობაზე საშუალო სასწავლებელში, როგორც სამწუხარო მოვლენაზე, მიუთითე საზოგადოებას პატივცემულ „თემის“ საშუალებით.

ქართული ენის არა სასურველმა მდგომარეობამ დააფიქრა მოსწავლე ახალგაზდობის შეგნებული ნაწილი და მანაც თავისი მწვავე გრძნობები გადაგვიშალა იმავე გაზეთ „თემის“ ფურცლებზე.

ამ მომწიფებულმა კითხვამ დააფიქრა ზოგიერთი ქართველი მშობელი და ქართული ენის მასწავლებელი და ამ უკანასკნელებმაც გამოსთქვეს თავიანთი აზრი ამ ენის უნუგეშო მდგომარეობის შესახებ.

სრულის იმედით მოველოდით, ამავე საგნის შესახებ, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილების სიტყვას და შემდეგ სიტყვიდან საქმეზე გადასვლას, მაგრამ ჩვენი მოლოდინი ჯერ ჯერობით [illegible] არ მართლდება.

ამნაირად კითხვა დაისვა. მასალა თანდათან გროვდებოდა.

ეჭვი არა მაქვს, რომ ვარლამ გელოვანი, ის ვარლამ გელოვანი, რომლის მოკლე ცხოვრება ერთი შეუწყვეტელი მოქმედება იყო მოყვასის სასარგებლოდ, ის ვარლამ გელოვანი, რომელმაც ძვირფასი სიცოცხლეც კი არ დაიშურა მოყვასისათვის ხალხის საერთო განცდის დროს, რომ ეს ვარლამ გელოვანი, ვიმეორებ, დანაპირებს არ დაივიწყებდა. ის მხოლოდ უცდიდა მოხერხებულ დროს, ჰკრებდა მასალას, ეცნობოდა საქმეს, რომ შემდეგ ჩვეულებრივის ენერგიით, შესჭიდებოდა სასარგებლო საქმეს და მოეგვარ-დაეგვირგვინებია.

ულმობელმა სიკვდილმა მოგვტაცა ჩვენი ერის ტკივილების გამომქვეყნებელი სახელმწიფო სათათბიროში... მოგვტაცა, მუშაკი თანამემამულე... და სხვა, ჩვენი წყლულების გამაკურნებელ, მისწრაფება-მოქმედებათა შორის ჩაუკლა გულში ქართული ენის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენების საქმე საშუალო სასწავლებელში.

გორგი.

თეატრი და ხელოვნება.

„ივდითი“ — ჯიოკომეტისა, რომელიც, 4 აპრილს, მსახიობთა ამხანაგობამ წარმოადგინა ქ-ნ ნინო ჩხეიძის მონაწილეობით, გვიხატავს ერთ იმ მძიმე განსაცდელთაგანს, რომლითაც ასე სავსეა ებრაელთა ისტორია. მაგრამ იმ ერს, რომელსაც ივდითისთანა სულ-მაღალნი, მტკიცენი, და რწმენით აღსავსე შვილნი მოეპოვებიან, არ უნდა ეშინოდეს საბოლოო დამარცხებისა და გაქრობისა. აქ შესადარებლად თვალწინ მიდგება ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს წარსული ისტორია.

რა იქნებოდა ის დღეს? რა სახით მოაღწევდა იგი დღეს ჩვენამდე, რომ ჩვენც არ გვყოლოდა ივდითისებური თავდადებული სამშობლოს მოყვარულნი? ივდითის სუსტმა სხეულმა, მაგრამ ძლიერმა სულმა სძლია სასტიკ ნაბუქოდონოსორის მრისხანე მხედართ მთავარს ონოფრეს, რომელმაც მოსრისა მთელი პალესტინა და მიადგა იერუსალიმის ზღუდეს.

ამ მტარვალის თავის მოკვეთით, ივდითმა მოუპოვა თავის ერს შვება და თავისუფლება.

ივდითის გმირობა ენათესავება ჩვენს წარსულს. ჩვენცა გვყავდნენ ამგვარი თავდადებულნი. დიაღ, გვყავდნენ, მაგრამ, ვაი, რომ დღეს ნაკლებათა გვყავს!

ნიჭიერი მსახიობი ქ-ნი ნინო ჩხეიძის ასული მშვენიერი ივდითი იყო. ნაზი, ფაქიზი, გულკეთილი, ქვეყნის მოყვარე, რომელიც დაურიდებლად სწირავს თავის თავს სამშობლოს დასახსნელად. მაგრამ მარტო ერთი მსახიობი ხომ არ ჰქმნის მთლიანს სურათს მთელის პიესისას? კარგს მსახიობს ჩვენს სცენაზე ბევრი ხელის შემშლელი ჰყავს. ბოლო მოქმედებაში, როდესაც ივდითი ღვდელმთავარის წინ სდგას დაჩოქილი, სტატისტებში, ამდროს ერთმა ულაზათოდ ცხვირს დააცემინა, მეორემ უშნოთ გაიფურთხა და როდესაც ხალხს გაეცინა, ქანდარისკენ ღრეჯა დაიწყო. რა ჰქნას ხელოვნებამ ასე სამასხაროდ აგდებულმა? უკიდურესად ცოდვაა ასეთ პირობებში, როგორც დიდი მსახიობი, ისე შეგნებული მაყურებლის მდგომარეობა.

პირველი და უკანასკნელი მოქმედებები მეტად სუსტად ჩაატარეს. არ გვივარგა მასიური სცენები. ეს ხრონიკული სენია.

აღსანიშნავია ლამაზი და ნიჭიერი თამაში ბ-ნ ყალაბეგიშვილისა ონომფრის როლში. სიმპატიური მსახიობი ბ-ნი იშხნელი ამ საღამოსაც კარგი ღვდელმთავარი ელიაქიმი იყო.

დრამის უმწვერვალესი ადგილი, ონომფრეს თავის მოკვეთა, მეოთხე მოქმედებაში, ძალიან მკრთალად ჩაიარა.

ონომფრე ხმალს, რომელითაც მას ივდითმა თავი მოჰკვეთა, ერთი წვეთი სისხლი არ გამოჰყვა.

ასე უსისხლოდ თავის მოკვეთა ძნელი დასაჯერებელია.

ონმფრეს თავი, როგორც ჩვეულებრივი ადამიანისა მრავალი მოყვანილობისა იყო, ხურჯინში-კი გაეხვიათ რაღაც ბრტყელი და პატარა, რომელსაც ქ-ნი ქილარჯიშვილისა ახლად დაბადებულ ყრმასავით გულში იხუტებდა.

ამას გარდა მარცხათ ოლომფრემ სწორედ მაშინ ჩაახველა, როცა ის მაყურებელს თავ მოკვეთილი ეგულებოდა.

სავაჭრო სახლი
ძმ. კუზანოვების
ქუთაისში.

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ცნობილი აბრეშუმის თესლის ფირმის „ეკონომიდის", ამით აუწყებს მეაბრეშუმეებს, რომ თესლი უკვე მივიღეთ და ვყიდით ხელსაყრელ ფასებში, პარტიობით და წვრილად.
თესლი შემოწმებულია თფილისის საბრეშუმო სადგურის მიერ. მიაქციეთ ყურადღება კოლოფზე თეთრ ბანდეროლს. 15—10

სახარტიო სავაჭრო საბაკალეო და კოლონ. საქონლის
ტ. ლ. გასილაძე და ა. მ. კილასონია
ქუთაისში, მიხაილოვის

საზოგადოება საკმაოდ დაესწრო. იყვნენ სხვათა შორის ებრაელებიც.

— —

მეორე საღამოს, კვირა', ამხანაგობამ წარმოადგინა ზუდერმანის პიესა „ქალის სამშობლო". ამ პიესას მე პირველად ვხედავ. იგი მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს. თუმცა ეს სიმძიმე სრულიადაც არ აიხსნება ავტორის სისუსტით.

სიმძიმესა ჰქმნის ის აუტანელი, შეურიგებელი და შეუკავშირებელი ატმოსფერა, რომელსაც დაუბუდნია „მშობლიურ ჭერ ქვეშ".

ერთ მხარეს არის მამა, ძველი სკეპტიკი თავისი შეხედულებით მოვალეობასა და პატიოსნებაზედ, მის პირდაპირ სდგას მისი ქალიშვილი, სახლიდამ გაძევებული, რომელიც 12 წლის შემდეგ ისევ ბრუნდება მშობლის ოჯახში, განთქმული და სახელ მოხვეჭილი. მაგრამ მშობლის სიყვარულთან ერთად თან მოაქვს შვილს განვლილი თორმეტი წლის ნაყოფიც. ეს ნაყოფი არის მისი დროებითი შეცდომა, უფრო გამოუცდელობით და გაჭირვებით გამოწვეული, შემდეგ კვლავ ფეხზე ამდგარი, განთავისუფლებული, მომქმედი, რომელმაც იგი აიყვანა ხელოვნების უმაღლეს საფეხურამდე.

მთელი ოთხი დიდი მოქმედება, ორივე მხარე უზომოდ მოსიყვარულე ერთმანეთისა მამა და ქალიშვილი უზომოდვე სტანჯავენ ერთი მეორეს.

მათ შერიგებას ცდილობს გონიერი პასტორი, ბევრსაც ახერხებს, მაგრამ საბოლოოდ იგიც ვერ იმარჯვებს.

მთელი მდგომარეობა გადაგრეხილია ჯაჭვის რგოლებად. ერთს დაამსხვრევ, მეორე ჩნდება, მეორეს მესამე მოსდევს და ეს აუტანელი მდგომარეობა მით ბოლოვდება, რომ მოხუც მამას გულის სიგანივრე იმსხვრევლებს და კვდება...

მაგდას როლში ქ-ნი ნინო ჩხეიძე ჩვეულებრივად მშვენიერი იყო. რა თქმა უნდა რომ ნიჭი ყოველგვარ როლს სულს ჩაუდგამს და ფრთებს შეასხამს, თუმცა მაგდას როლი ბუნებრივად ძლიერი და მეტად შინაარსიანია.

ძალიან კარგი იყო მერის როლში ქ-ნი მდივანი- თავის დრომდე ცელქი, მოძრავი, ხალისიანი, თავის დროზედ სევდით მოსილი, გაფითრებული, მოშიშარი.

კარგად ჩაატარა პოლკოვნიკის როლი ბ-ნმა იმხნელმა. ხშირად-კი ავიწყდებოდა ხოლმე, რომ მარჯვენა ხელი დამბლა დაკრული ჰქონდა.

მშვენიერი პასტორი იყო ბ-ნი ყალამბეგიშვილი. სამწუხაროდ მეტად სუსტი ბარონი იყო ბ-ი მურუსიძე ბარონ ფონ-კელერ... ეს ალბად იმაზედ თვალსაჩინო ამაყი ნემეცი უნდა იყოს ვიდრე ბ-ნმა მურუსიძემ დაგვიხატა. სერთუკიც ისეთი ეცვა რომ ხელები ძლივს უჩანდა. პიესას დეკორაციის გამოცვლა არ დასჭირებია, მაგრამ ანტრაქტები მაინც დიდი იყო. სასურველი კია, რომ წარმოდგენები ადრე იწყებოდეს, ანტრაქტებიც რაც შეიძლება მოკლე იყოს, რომ წარმოდგენა დროით გათავდეს. ეს საჭიროა მშრომელი ელემენტისათვის, რომელიც უმთავრესად ესწრება ჩვენს თეატრს...

ჯაფარ-ფაშა.

ბ. იასონ გაბილაიას წერილის გამო.

„სამშობლოს" 46 №-ში ბ. ი. გაბილაიას უკვირს: რატომ კითხულობს ბ. ა. გორგაძე და რათ უკვირს კოოპერატიული ფურნის და პროგრესის მაღაზიის დახურვაო. თან დასძენს: „მე როგორც კოოპერატორს, სრულიად არ მიკვირს ეს გარემოებაო; გულწრფელად ავღიარებ, რომ ასეთ პირობებში გასაკვირი იქნებოდა სწორეთ, რომ ბუნებრივ კანონების მიხედვით, რომელიმე დახურულ „კოოპერატივს" დღემდი შეენარჩუნებია თავისი „არსებობაო".—ალბათ კოოპერატორი, რომ არა ვართ, იმიტომ გვიკვირს ხუთასი, ექვსასი თუმნის თანხით ერთმა ფურნემ ვერ იარსება; ამდენი თანხა გაიფლანგა და ვაგლახ ჩვენ უმეცართა, რომ გვიკვირს, თორემ ხელმძღვანელებისთვის გასაკვირი არ ყოფილა. ასეთი დასკვნა მხოლოდ ბ. გაბილაიასაგან გვიკვირს წინანდელ მეპურეთა ხელმძღვანელების გასამართლებლათ, თორემ თვითონ მათ, რომ ეთქვათ არ გაგვიკვირდებოდა. მერე ჩვენს შენიშვნას ბ. გაბილაია ეჭვის თვალით უყურებს და ასე გვესაუბრება:

> „ვერ წარმომიდგენია ნამდვილ კოოპერატივად არც ერთი ის ამხანაგობა, რომლის წევრებსაც მხოლოდ მაშინ აგონდებათ დახურული საზოგადო დაწესებულების ბედი, როცა ახალ კოოპერატივებზე იწყებენ ლაპარაკს და არა იმიტომ, რომ ამ ახალ კოოპერატივთა ხელმძღვანელებს რამე გამოცდილება შესძინონ, არამედ იმიტომ უნებლიეთ, რომ კიდევ უფრო აუტეხონ ხალხს გული კოოპერატიულ დაწესებულებაზე"-ო.

ბ. გაბილაიას ვერ ვეთანხმებით ამაზე. ჩვენ კი ასე გვაქვს წარმოდგენილი: როცა ახალი რამ საზოგადო საქმე იწყება კოოპერატიულია იგი, თუ სხვა, საქმის დაწყებისას უნდა აწონ დაწონვა, მსჯელობა, ასჯერ გაზომვა და ერთჯერ გადაჭრა. მსგავსი მოვლენების გახსენება: რამ გამოიწვია დაბრკოლება, რამ მოგვცა მოგება და სხვა, მე ჩემდა თავათ, ამ მოსაზრებით გაბედით მაშინ, როცა მეპურეთა წარსული ამხანაგობის მწარე ხვედრი გავახსენე მკითხველთ; მოვითხოვე ხელმძღვანელთაგან ანგარიში ასეა, თუ ისე, რომ ახალს კოოპერატიულ დაწესებულებას არ შეხვდეს მსგავსი და არა ის, რომ მე ხელის შეშლა მინდოდეს ახალი დაწყებული საქმისა, როგორც ბ. გაბილაია ბრძანებს. ბრძანებს „დასაბრკოლებლათ სწერენ და არა გამოცდილება, რომ შესძინონ ამხანაგობასო". ჩვენ კი ნამდვილ იმიტომ ვსწერთ, რომ ამხანაგობამ გამოცდილება შეიძინოს მით, რომ წარსული ზარალი გაიხსენოს რამ გამოიწვია ზარალი და ამხანაგობის დახურვა, რა საშუალება იხმარონ მომავალში, რომ წარსული დიდი ზარალი არ გამეორდეს და სხვა... ავტორი კიდეც გვარწმუნებს, რომ დახურულ მეპურეთა ამხანაგობას დიდი სარგებლობა მოუტანია:

> „რაც შეეხება „პროგრესის მაღაზიას" და იმ საზოგადოებას, რომელსაც ამ ათიოდე წლის წინათ ქუთაისში გაუხსნია ბ. პურადაშვილს ლ. ჩიმაკაძეს და სხვათა თანხმობით ფურნე, უნდა აღვნიშნო, გაკვრით, რომ ჩემ მიერ მოგროვილი ცნობებით „პროგრესის მაღაზიას" და ფურნეს, თავის არსებობის წლებში დიდი სამსახური გაუწევია ქუთაისის მცხოვრებთათვის".

„პროგრესის მაღაზიისა" რა მოგახსენოთ, რადგან მისი არც სარგებლობის სინამდვილის ვიცი რამე და არც ზარალის და იმ საამხანაგო ფურნის სარგებლობა დღემდი ქუთაისში კაცს არ სმენია და მტკნარი სიცრუე უთქვამთ ვინცლაც ბ. გაბილაია დაარწმუნა ამაში. მე ასე მოგახსენებთ, სარგებლობა არა და ზარალი კი. ზარალი ის გახლავთ, რომ რამდენიმე ათასი მანეთი დაიღუპა ამხანაგობისა; მეორე ზარალიც ის არის, რომ ასეთ სიმპატიურ საქმეზე, როგორც კოოპერატიული ამხანაგობაა, გული აუცრუა ბევრს. რომ ასე არ იყოს ბ. გაბილაიას, რომ უხარია დღეს ორასი ხელის მომწერი მყავსო, ათი წლის წინათ თუ ორ თვეში რვაას წევრამდე შეკრიბა ქუთაისის „მეპურეთა ამხანაგობაში", დღეს ამ უფრო მოუმზადებულ ხანაში, ათასამდისაც შეიკრიბებოდა მაგრამ გულში აქვთ წარსული ზარალი და წევრათ ჩაწერა უჭირთ. საქმის გამოსარკვევათ თუ ერთმა და ორმა ხმა ამოვიღეთ, ისიც გიკვირთ და გწყენთ თქვე დალოცვილო, მაშ როგორ ვქნათ? ხელმძღვანელები ბროლივით სპეტაკათ გამოგყავთ და ზარალს წევრებს აბრალებთ.

> დახურულა ეს ფურნე და გამქრალა „პროგრესის მაღაზია" უფრო წევრთაგან დამოკიდებულ მიზეზების გამო. ხელმძღვანელებს ამ საქმეში არავითარი ბოროტმოქმედება არ მიუძღვით".

საკვირველია ღმერთმანი! მართალია, ჩვენ ქურდს ვერავის დავძახებთ, მაგრამ გაცერი და გამტკიცე ორივე ერთი მნიშვნელობის სიტყვაა, მკვდარი და შინ მიუსვლელი ორივე ერთია, კაცის კვლა ბოროტებითაა იგი, თუ უცაბედათ, ვინც მოკვდა მისთვის ორივე ერთია. ხელმძღვანელებმა ამხანაგობას საგრძნობელი ზარალი კი მისცა და რაგვარათაც იყო ეს სულ ერთია. „მათ (ხელმძღვანელებს) ახლაც გულს უთუთქავს, მხოლოდ ის, რომ საზოგადოება—ჯეროვანი მომზადებული არ იყო". ბატონებო! საზოგადოება თუ მოუმზადებელი იყო ხელმძღვანელნიც მოუმზადებელი იყვნენ? მერე რატომ?!. ამის პასუხს მე აქ არ ვწერ. გვეუბნებიან „საქმე ფულის შემოტანაში როდია ბატონებო." მე ასე მოგახსენებთ: სწორეთ ფულის შემოტანაში და საკმაო თანხის შეკრებაშია საქმე და მასთან კარგი მეთაურების ყოლაში. ეს ორი ერთი მეორის გაუყრელი ამხანაგია. განა კრების დროს, რომ საკმაო წევრები ვერ შეიკრიბონ იმიტომ, მეთაურებმა ხელი უნდა უშვან საზოგადო საქმეს და დაღუპონ?... მერე მეთაურებმა უნდა გვითხრან: რადგან კრებებზე არ მოდიოდით, იმიტომ ვიზარალეთ და ყველაფერი დავეკარგეთო? ამ აზრს ჩვენ ვერ შევურიგდებით და ნურც გაგვაგონებთ.

ბოლოს ბ. გაბილაია გვპირდება: „მე მოგროვილი მაქვს საკმაო მასალები და კოოპერაციის მორიგ ნომერში (№ 30) უკვე იწყება დაწვრილებითი მოხსენების ბეჭდვა „პროგრესის" შესახებ. დახურული ფურნის ხელმძღვანელების მოხსენებაც მზადდება იმავ კოოპერაციისათვის"—და ვნახოთ მოხსენება რას გვახარებს სანუგეშოს.

მე ბ. გაბილაიას სრულიად ვეთანხმები იმაში, რომ ყველა წევრი ძალიან გაცნობილი უნდა იყოს კოოპერატიულ საქმიანობაში, მაგრამ ამას დრო და თანდათანობა შეაგნებინებს წევრებს. მანამდის კი გამოცდილი ხელმძღვანელების საქმეა უზარალოთ და სისრულით საქმის წარმოება. და თუ მეთაურებს ამისი უნარი აკლიათ ვისმე, ვთხოვთ საზოგადო საქმეს ნუ თაობენ, თორემ ხალხის დაშინება და გულის გატეხა მეტად ძნელია, საფრთხილო საქმეა. ბ. გაბილაიას ჩვენ ამ გვარ მეთაურებში სრულიად არ ვრევთ და საიმედოთაც ვუყურებთ, მაგრამ უთავო მეთაურების გამართლებაში, როგორც ხედავთ ვერ ვეთანხმებით.

ლდ. რ. ხუნდაძე.

ჩვენი ფოსტა.

აბაშა. დ. ბზ—ვა. თქვენი წერილი დასელების შესახებ არ დაიბეჭდება. ჩიტი ბღლვნათ არა ღირს, ვინაიდან დასელების მანერები ყველამ იცის.

იმასვე. თქვენი წერილი: „ჩვენი მოვალეობაა" ნაადრევ პასუხათ მიგვაჩნია, ვინაიდან პატ. თ. ჟორდანიას ჯერ წერილები არ დაუმთავრებია.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო საკანცელარიო ნივთები.

— კატალოგები უფასოთ — თ.

გაფრთხილება.
ს/ს გოკიელოვის—შ-ბი
ქუთაისში

ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს, რომ **გაზეთებში** გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ **ზოგიერთი თესლის გამყიდველები** სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხალხში. ამისათვის გასულდ წლების მსგავსად წელსაც **ხ. ხრისტოდულიდის** მიუცილებელ საჭიროდ ვცანით, რომ თესლის მყიდველნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, **გავაფრთხილოთ: დააკვირდით ჩვენს ფირმას**—გარეთ კოლოფს აქვს **იარლიკი ქართული წარწერით** (თეთრ ქაღალდზე) და ასვია **„შტემპელი"**, აწერია **„ს/ს. გოკიელოვის შ—ბი"**, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის **„შტემპელი"** რუსულ-ქართული წარწერით **„ხ. ხრისტოდულიდისის"** და **ს/ს გოკიელოვის შ—ბის"**, აქვე დასმულია **ლუქით ბეჭედი**, რომლის სამთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ კოლოფს ირგვლივ შემოულებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

თესლის გაყიდვა გძელდება.

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის
„მმათა პასხალიდის"
აბრეშუმის თესლი
უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში
ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში;
ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში და ახალსენაკში **ილია იაკიმიდის** მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.
თ. 69.

სპეციალური სახელოსნო
პარმენ ამაღლობელის
(ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა).

ფეხსაცმელები ევრ. და აზიური,
როგორც კაცის, ისე ქალის. სახლში სახმარებელი ჩუსტები კაცის, ქალის და ბავშების რუსული და ბუხრის ქუდები საუკეთესო კარაკულისა.
ფასები სხვებთან შედარებით დაკლებულია.



გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფასი 60 კაპ. წ.

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакій" 10 კ.
9) კ. მაჭავარიანი: „Кавказскіе минеральные источники"—ფ. 10 კ.

აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით · 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ჟორდანია ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
12) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

სტამბა ა. ი. ძოხრიძისა—ქუთაისი.
რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.